

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნოქალაქევის ერთობლივი ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის
2004 წლის საველე სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი

ისტ.მეცნ.კანდიდატი - დავით ლომიტაშვილი

ისტ.მეცნ.დოქტორი – ბესიკ ლორთქიფანიძე

ფონდის კურატორი – მერი ზამთარაძე

ქიმიკოს-რესტავრატორი – ნინო ქებულაძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი - თამილა კაპანაძე

პროექტის დირექტორი – იან კოლვინი

მოწვეული არქეოლოგი, დოქტორი – დევიდ კონოლი

სუპერვაიზერი – პოლ ევერილი

ოსტეოლოგი – ბენჯამინ ნილი

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის, ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ* 2004 წლის საველე სამუშაოები სენაკის რაიონის სოფ. ნოქალაქევში 17 ივლისიდან 15 აგვისტომდე აწარმოა. საანგარიშო პერიოდი ერთობლივი ექსპედიციისათვის რიგით მეოთხე კამპანია გახლდათ. ძირითადი სამუშაოები ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სექტორებში წარიმართა. 2004 წლის არქეოლოგიური სამუშაოები წინა წლებში დაწყებულ ორ თხრილზე მიმდინარეობდა. შევნიშნავთ, რომ მათგან პირველი – თხრილი A მოწყობილი იყო ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ცენტრალური შემოსასვლელის (აღმოსავლეთის მხრიდან) ჩრდილოეთით შიდა ეზოს მხრიდან, გალავანზე ამავე კიბის მიმდებარე ტერიტორიაზე F-2 კვადრატში. მეორე – თხრილი B კი “ორმოცი მოწამეთას” სახელობის VI ს-ით დათარიღებული ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიას მოიკავებდა E -3; J - 22,23 კვადრატებში.

შეთანხმებისამებრ, ექსპედიციის სრული დაფინანსება თავის თავზე აიღო ბრიტანულმა მხარემ. ექსპედიციას დასახული გეგმების განხორციელებაში, როგორც ყოველთვის, წელსაც გვერდით ედგა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქვემდებარე ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის სრული შემადგენლობა (დირექტორი-ენ.კოკაია).

* 2004 წლის ქართულ-ინგლისური ექსპედიცია 27 წევრისაგან შედგებოდა: დ.ლომიტაშვილი-ექსპედიციის ხელმძღვანელი, ნ.ქებულაძე, მ.ზამთარაძე, თ.კაპანაძე, ი.კოლვინი, პ.ევერილი, ბ.ნეილი, ე.გინსი, ჯ.ვებსტერი, მ.სტოქლი, ჯ.ედვარდსი, რ.ჯეფერსი, ჯ.კემპი, თ.ბიშოპი, ა.სოარი, ჯ.ვილიკინსი, რ.ბლაუთი, დ.კონელი, მ.შტრუქმაიერი, ნ.შურდულია, თ.გეგია, მ.მჭედლიშვილი, ლ.შოთაშვილი. ნოქალაქევის ექსპედიცია ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა მაკდონალდსის ინსტიტუტის ოთხ თანამშრომელს, რომელთა ინტერესების სფეროს ადგილობრივი, მეგრული ცხენების ძუის ნიმუშების შეგროვება წარმოადგენდა მათი შემდგომი მეცნიერული (დნმ) შესწავლის მიზნით.

ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გათხრების მეთოდიკიდან გამომდინარე (სამუშაოები ძირითადად პრეპარაციის პრინციპით მიმდინარეობს) სამუშაოები აღნიშნულ თხრილებზე ვერც 2004 წელს მომთავრდა და გაგრძელება 2005 წლის სეზონზეც იგეგმება.

თხრილი A. ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე დავიწყეთ თხრილის პერიმეტრის გაფართოება. საანგარიშო პერიოდში შევქელით თხრილის დასავლეთით-3, ხოლო ჩრდილოეთით-4 მეტრით გაზრდა და მომატებული ფართობის შესწავლა წინა წლებში დაწყებული თხრილის დონეზე. აღნიშნულ თხრილში, სადაც დღეისათვის ელინისტური ხანის ფენების დამუშავება მიმდინარეობს, გათხრები 2005 წელსაც გაგრძელდება.

თხრილი B. ამ უბანზე წელსაც გრძელდებოდა ე.წ. "ეპიდემიური" სამაროვნის შესწავლა. პარალელურად ვიზრუნეთ თხრილის გაფართოებაზე ჩრდილოეთის მხრიდან. საბოლოოდ თხრილის პერიმეტრი სიგრძეში-20, ხოლო სიგანეში 7.80 სმ-ით განისაზღვრა.

arqeologiuri masalis mimoxilva

საანგარიშო პერიოდის არქეოლოგიური მასალა მომდინარეა კულტურული ფენებიდან. იგი გამოირჩევა როგორც რაოდენობით, ასევე – მრავალსახეობით. მათ შორის მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა კერამიკული მასალა, წარმოდგენილი როგორც საოჯახო – სამეურნეო დანიშნულების ფრაგმენტებით, ასევე – სამშენებლო. მასალა მოიცავს აგრეთვე მინის ნაწარმს – სანელსაცხებლის, ლამპარი – ჭიქის, სასმისების თუ სარკმლის ნიმუშებს. ლითონის ნაწარმი წარმოდგენილია სამკაულებით – ბეჭდები, საყურეები, მშვილდსაკინძი, ქინძისთავები, ბალთით. რკინის ნივთები – ისრისპირებით, დანებით, ლურსმნებით. არის აგრეთვე ძვლის ნიმუშებიც.

ანგარიშში ჩვენ არ შევუდგებით მთელი მასალის აღწერა – განხილვას. მათი ნაწილი ტიპურია ნოქალაქევის სხვადასხვა პერიოდში გამოვლენილი მასალისა, რომელთა შესახებ გარკვეული აზრია გამოთქმული მათდამი გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშებსა და გამოკვლევებში. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ის მასალა, რომელიც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ჩანს საანგარიშო პერიოდის გათხრილი კულტურული ფენებისათვის და მნიშვნელობა აქვს ნაქალაქარზე ოდესღაც არსებული ცხოვრებისა და სახელოსნო ამა თუ იმ დარგის თვალსაჩინოებისათვის.

დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური და განსაკუთრებით, ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარს დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ; ვინაიდან, გაცილებით მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთფეროვნებით ხასიათდება, ანუ მათი მოხმარების ამპლიტუდა, უფრო დიდია. მინის ჭურჭლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის პოლიტიკური, სავაჭრო – ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესწავლისათვის.

მინის ჭურჭელი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც ჭურჭლის ფორმის დადგენა პირობითია, რის გამოც მათი ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა – მოქცევა – დათარიღება ხდება ორნამენტის ხასიათისა და გამოყენებული ტექნიკური ხერხების მიხედვით. აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი დანიშნულება, მინის ხარისხი და ფერი.

საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილია მინის ჭურჭლის შემდეგი სახეობები: სასმისები-ლამპარი, სანელსაცხებლის, ხალიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და აგრეთვე – სარკმლის მინაც. აგრეთვე, დადუღებული მინის სქელი შენადნობი, წუნი(?).

სასმისის ძირის ფრაგმენტები, ღია და მუქმწვანე ფერის, წრიულად გამოყვანილი ქუსლები, რომლებიც შიგნიდან, ჩვეულებრივ ორფენოვნების გამო-ღრუა. არის – მოცისფრო ფერისაც, ბუმბუკების შემცველი.

ნ.სოროკინა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამგვარძირიანი ჭურჭლები ტამანის ნაქალაქარიდან¹ მიაკუთვნებს ანტიკური ჯგუფის ჭურჭლებს და შესაბამისად დათარიღებული აქვს IV-V საუკუნეებით.

კონუსურად შედრეკილი ქუსლის მქონე სასმისები. კონუსურობა ძირისა გამოხატულია ჭურჭელში, ქუსლის ადგილას მცირედ შესქელებულ ლილვაკში ორმაგგვერდიანობა შეიმჩნევა. მომწვანო, მოციფრო ფერის, ბუშტუკების შემცველი. ამ ტიპს განეკუთვნება აგრეთვე რამდენიმე ნატეხი ღია ცისფერი თხელკედლა ჭურჭლის ფრაგმენტიც, რომელთაც სუსტად გამოხატული ლილვაკი აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ტიპის ძირის მქონე სასმისები ადრეული შუასაუკუნეების მთელ მანძილზე ჩანს გავრცელებული². დანიშნულების მიხედვით ისინი მიიჩნევიან სასმისებად ან ლამპრებად. ნ.სოროკინას აზრით მათი გამოყენება ერთდროულად ორივე მიზნით უნდა განისაზღვროს.

აღნიშნული ტიპის სასმისები მრავლადაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, კერძოდ, ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში³, იქ ისინი გამოვლინდა IV-V საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში⁴. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა სხვა ძეგლებიდან ამგვარძირიანი სასმისები ნაპოვნია გონიოში, ბობოყვათსა და ციხისძირში⁵, სადაც ისინი ასევე IV-V საუკუნეებითაა დათარიღებული. ნაპოვნი ანალოგები შიდა რაიონშიც - ვაშნარი, მთისძირი⁶

ნახევარსფერული მოყვანილობის სასმისები გვიან-რომაული ხნის მინის ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მათთვის დამახასიათებელია ტანისგან გამოყოფილი, მცირედ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ან ოდნავ შეზნექილი ძირი. ასეთი ჭურჭელი მთელი რიგი ნიშნებით – ფორმა, დაუმუშავებელი პირის კიდე, მინის ხარისხი და ფერი, ანალოგიური მასალით თარიღდება ახ.წ. IV საუკუნეა.

საინტერესოა მინის ხალიანი ჭურჭლის ფრაგმენტი. იგი დამზადებულია თავისუფალი შერევით, მოყვითალო ფერის, მღვრიე – ნაკლებად გამჭვირვალე, შეიცავს მცირე რაოდენობის ბუშტუკებს. სწორგვერდა ჭიქის კალთის შუა ნაწილია. არ გააჩნია პირი და ძირი, რის გამოც მისი ფორმის მიხედვით დანიშნულების გარკვევა ძნელდება, შეიძლება ლამპარიც იყოს.

ასეთი ხალიანი ჭურჭელი ნ.საროკინას⁷ კლასიფიკაციით მომდინარეა ბოსფორის, სამხრეთ-დასავლეთ ყირიმის და წებელდის სამარხებიდან. ასევე ფრაგმენტების სახითაა იგი აღმოჩენილი პანტიკაპეონის, ტანაისის და ფანაგორიის კულტურულ ფენებშიც.⁸ ხოლო ციხისძირში დაფიქსირებული ჭიქაც მსგავსია ზემოთ დასახელებული პუნქტებიდან მომდინარე ნიმუშებისა და იქ კულტურული ფენების მიხედვით თარიღდება ახ.წ. IV-VI საუკუნეებით.⁹

ღურჯი ხალებით მინის ჭურჭლის შემკობა ახ.წ. IV საუკუნისათვის დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნეული. ხალიანი მინის ჭურჭელი კარგადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აფხაზეთის სანაპიროზე-წებელდა, ბიჭვინტის ნაქალაქარი, ზიგანე-გუდავას გათხრებით.¹⁰

შიდა ეგრისში კი ხალიანი მინა გაცილებით ნაკლებია აღმოჩენილი. რამდენიმე ფრაგმენტი დაფიქსირებული თვით ნოქალაქევში,¹¹ მაგრამ ის არ არის ვარდციხეში.

აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვანზე – მცხეთა, ურბნისი, სადაც დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ახ.წ. IV-Vსს მინის ჭურჭელი, ხალიანი მინა მხოლოდ ორი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ისინი IV-V საუკუნეების დასაწყისით თარიღდებიან და დასავლეთ საქართველოდან შემოტანილადაა მიჩნეული. ასევე მცირე რაოდენობითაა ისინი მოპოვებული აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებშიც.

ფეხიანი სასმისები ადრეული შუასაუკუნეების ხანის მინის ჭურჭლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვისპირეთში, ასევე შიდა ეგრისში. მკვლევრთა ნაწილი თვლის, რომ ეგრისში,

ჩრდილო შავიზღვისპირეთის მსგავსად, აღნიშნული ტიპის ჭურჭლები ახ.წ. IV საუკუნედან ჩნდება, თუმცა ზოგი მათ კულტურული ფენების მიხედვით, V-VI საუკუნეებით ათარიღებს.

ფეხიან სასმისებს ამზადებდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებში. ადრეშუასაუკუნეებში ამ ტიპის ჭურჭელი გავრცელებული იყო მცირე აზიის, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფეხიანი სასმისების დანიშნულების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათ იყენებდნენ როგორც სასმისებად, აგრეთვე – ლამპრებად.¹²

საინტერესოა მინის ჭურჭლის ერთი ნიმუში. ღია მომწვანო ფერის, თხელკედლა, ძალიან მაღალი, ამფორის ფორმის „ქუსლით“. ბოლოში ოდნავ გაფართოებულია, მაგრამ დასადგმელად არ გამოდგებოდა. ალბათ კოლბისებური ფორმის სანელსაცხებლე იქნებოდა, მინიატურული ზომის. ანალოგიებით III-IV საუკუნეებით თარიღდება.

საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილია აგრეთვე სარკმლის მინის ნატეხები. მუქი მწვანე ფერის, სქელკედლა. შეიცავს დიდი რაოდენობით ბუშტუკებს, მცირედ ირიზირებული. იმის გამო, რომ აღნიშნული ფრაგმენტები მცირე ზომისაა, სარკმლის ფორმის დადგენა მათი საშუალებით შეუძლებელია. საერთოდ კი ცნობილია, მათ კუთხეები მომრგვალებული იქნებოდათ. ანალოგიების მიხედვით ადრეშუასაუკუნეების შენობებს განეკუთვნებიან.

ძვლის დამუშავება ნივთიერი კულტურის წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ძვალმა თავისი ფიზიკური თვისებებით – პლასტიკურობა, შედარებით სიმაგრე, ლამაზი იერი – ოდითგანვე მიიპყრო ყურადღება. ძვლისა და რქის დამუშავება ადამიანმა ქვედა პალეოლითის დასასრულიდან დაიწყო.

ძვლის და რქის ნედლეულის სიიარვე, დამუშავების მარტივი ტექნოლოგია მათ შიდა მრეწველობისთვის ძვირფასს და ფართოდ მოსახმარ მასალად ხდიდა. ძვლისგან და რქისგან დამზადებული ნივთების გარეგნული პეწი და ლაზათი, შედარებითი სიმაგრე მათ ერთგვარ ფუფუნების საგნად აქცევდა. ძვლისგან მზადდებოდა სამკაულები, საპირფარეშე ნივთები, მუსიკალური საკრავები, სათამაშო ფიგურები, ყანწები და სხვ.

საქართველოს შუასაუკუნეების ხანის ნაქალაქარზე ძვლისა და რქის დასამუშავებელი სახელოსნოები, დმანისის გარდა, მიკვლეული არ არის. არც წერილობით წყაროებში გვაქვს რაიმე ცნობები; ამიტომ მათი დამუშავების ტექნიკისა და მისი განვითარების დონეზე მსჯელობა ძირითადად არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნაკეთობათა ანალიზით ხდება.

ძვლისგან განსხვავებით რქა ტექნიკურად უფრო ადვილად დასამუშავებელია. უძველესი დროიდან მოყოლებული ძვლის დამუშავება მაღალ საფეხურზე იყო აყვანილი.

მეტწილად ეს ნაწარმი მხატვრული ჭრითაც ირთებოდა. ორნამენტი ძირითადად წერტილების, სამკუთხედებისა და ხაზებისგან შედგენილ გეომეტრიულ სახეებს წარმოადგენენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულად ითვლება წრე შუაში წერტილით. ეს ორნამენტი თითქმის უნივერსალურია. შესაბამისად მისი ქრონოლოგიური საზღვრებიც ძალიან დიდია – გვიანი ენეოლითიდან დაწყებული – შუასაუკუნეების ბოლომდე.¹³

ჩვენი ნიმუშებიდან ერთი უორნამენტოა, მაგრამ ეტყობა დამუშავების კვალი. მეორეც რქაა, თითქმის წრეხაზებით – შუაში წერტილით, არის დაფარული. მესამე სადგისია, გაპრიალებული და ისეთივე ორნამენტი შექმნილი. ისინი ძვლისგან გაკეთებული უძველესი იარაღებია. როგორც ჩანს მას პირველად იყენებდნენ ტყავის დამუშავების დროს. სადგისებს აკეთებდნენ როგორც ლულოვანი ძვლის ნატეხებისგან, ისე რქის გაპრიალებული წვერისგან.

რკინის საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების ნივთები წაროდგენილია დანებისა და ლურსმნების სახით. ყველა ნიმუში ძალზედ დაუანგულია. არის ორი

ფორმის. სწორზურგიანი და ოდნავ მოხრილი. მათ მოკლე ყუნწი აქვთ, რომელზედაც ხის ტარი მანჭვლებით მაგრდებოდა. ამ დანების სამეურნეო დანიშნულებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წებელდის როგორც ქალის ასევე მამაკაცის სამარხებშია ისინი დაფიქსირებული.¹⁴ ისეთივე დანებია აღმოჩენილი მთისძირის სამარხებშიც.¹⁵

ღურსმნები გვხვდება ოთხკუთხაგანიკვეთიანი ღეროსი, სოკოსებრი და პირამიდული თავის მქონე ცალები. არის T-ს მაგვარი მომცრო ნიმუშებიც. დანარჩენი - მოზრდილებია.

ისრისპირები, რკინის, ყველა სამფრთიანია, ყუნწიანი. ასეთი ისრისპირები ძვ. წ. II საუკუნიდან საბოლოოდ დევნის როგორც ბრინჯაოს, ასევე რკინის სხვაგვარ ისრისპირებს. უფრო ფართოდ ისინი გავრცელებულია ახ. წ. პირველ, და ერთგვარად სახემეცვლილი, მომდევნო საუკუნეებშიც. ასეა, მაგალითად ბოსფორზე, სადაც ამგვარი ისრისპირები IV-V საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებშიც დადასტურდა.¹⁶ ანალოგიურ მასალას საერომატულ-სარმატულ სამყაროში მივყავართ. ისრისპირების ეს სახეობა ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან.¹⁷

ღერაკიანი სამფრთიანი ისრისპირების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში გვიანანტიკურ ხანამდე შემორჩენილა. საქართველო-ამიერკავკასიაში გათხრილი ძეგლების მიხედვით სამფრთიანი ისრისპირები ახ.წ.II-III საუკუნეებში ვრცელდება. კერძოდ, ასე თარიღდება კლდეეთის ის სამარხები, რომლებშიც ამგვარი ისრისპირებია ნაპოვნი.¹⁸ არის აგრეთვე ჩხარში დაფიქსირებული მსგავსი ისრისპირები. მომდევნო ხანის ძეგლებიდან კი – წებელდის სამარხებშია ისინი აღმოჩენილი.¹⁹

სამკაულები წარმოდგენილია: საყურე ოქროსი, მშვილდსაკინძი, ბალთა ქინძისთავი, ბეჭელი, სამაჯური.

საყურე ოქროსი, ოთხკუთხაგანიკვეთიანი ღერო, გახსნილი, თავებისკენ სამკუთხად გაფართოებული, ორ-ორი გამჭოლი ნახვრეტით.

საყურეები ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სამკაულია. ჩვეულებრივ, თავსამკაულში ისინი მრავალრიცხოვანი ჯგუფებითაა წარმოდგენილი. საყურეები, სამკაულთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელიც ყოფა-ცხოვრებაში ხშირად იხმარებოდა, განსხვავებით საპარადო და სარიტუალო დანიშნულების ნივთებისაგან. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ხშირად შეიმჩნევა ცვეთის ნიშნები.

ცნობილია, რომ ყურის შემკობის ჩვეულება ძველი აღმოსავლეთიდან მომდინარეობს და რომ სამკაულთა ტიპების შექმნასა და მათ ევოლუციაში ძველ აღმოსავლეთს დიდი როლი მიუძღვის. სამკაულთა საინტერესო და მრავალფეროვანი ფორმებიც სწორედ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა.

ჩვენი ნიმუში ბოლოებგახვრეტილი ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოს რგოლები ცნობილია ადრეანტიკური ხანის სამარხებსა და კულტურულ ფენებში. საკმაოდ გავრცელებული ჩანს როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. შესაძლოა ნახვრეტში შესაკრავად გაყრილი ყოფილიყი ძაფი ან თმა.

კავკასიის გარდა, ბოლოებგახვრეტილი რგოლები ჩვენთვის ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში ის კავკასიაში გავრცელებულ საყურეთა დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა გასათვალისწინებელია საქართველოში ასეთი რგოლების, საკიდით თუ საკიდის გარეშე ბოლო ხანებში გახშირებული აღმოჩენები. დასაშვებია ამ ტიპის რგოლების დამზადებაში საქართველოს გავლენა ან კიდევ მათი გავრცელება საქართველოდან.²⁰

მშვილდსაკინძი, ბრინჯაო, მთლიანი ბუდე, წვერზე წანახარდით, პატარა ბურთისებური შვერილით „ჭვინტიანი“, მუხლსახსრიანი. შემორჩენილია ზედა ნაწილი. კარგი პატივით.

დადგენილია, რომ მატერიალური კულტურის ამ სახეობით აღმოსავლეთ საქართველო განსხვავდება დასავლეთ საქართველოსაგან. ისინი ქართლში უფრო გვიან ჩნდებიან, IV საუკუნეში. დასავლეთ საქართველოში მათი ადრეული ვარიანტები დაფიქსირებულია ახ.წ დასაწყისის სამარხებში.²¹ ისინი ვიდრე ადრეშუასაუკუნეებამდე არ ჩანან, შემდეგ კი ჩნდებიან როგორც აფხაზეთში ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში.²² ჩრდილოშავიზღვისპირული ერთწილადი მშვილდსაკინძები, ჩვენი ტიპის, ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. მკვლევარე მათ ახ.წ. II-IIIსს ან III-IVსს-ით ათარიღებენ.

სამაჯური, ბრინჯაო, მრგვალგანივკვეთიანი ღერო თავები ერთმანეთზე გადადებული, თანაბრად გამსხვილებული და ბოლოებწაკვეთილი, რკალი მრგვალი, რამოდენიმე ადგილას ირგვლივი ზოლებით. დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. IV-IIIსს სამარხებში ძირითადად გავრცელებული ჩანს ზურგშეხნეკილი სამაჯურები. მათთვის დამახასიათებელი ზურგშეხნეკილობა შემდეგ თანდათან ქრება. ჩვენი ნიმუშის ტიპის სამაჯური თვით ნოქალაქევის ელინისტური ხანის კარგად დათარიღებულ სამარხებშიცაა აღმოჩენილი.²⁴

ყველა ამ სამაჯურის ნაირსახეობას (ზურგშეხნეკილია თუ არა) ბ.კუფტინი ძვ.წ. V-IVსს-ით ათარიღებს²⁵, ხოლო ნ.კიდურაძე დაფნარიდან მომდინარე მასალის მიხედვით მათ IV-III საუკუნეების ნაკეთობად მიიჩნევს.²⁶

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н.Сорокина, Позднеантичное и раннесредневековое стекло с Таманского городища, сб. Керамика и стекло древней Тмутаракана, М., 1963г, с. 154.
2. ნ.უგრელიძე, ძველ საქართველოში მინის წარმოების ისტორიისათვის, გვ. 53. მხხატარაშვილი, მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, ტიბბ.1978, გვ.22
3. А.Апакидзе, О.Лордкипанидзе, Новые материалы к археологии Диоскурии-Сébastополиса, с.218.
4. იქვე, გვ. 215-216.
5. ნ.ინაიშვილი, ციხისძირის ახ.წ. I-VIსს არქეოლოგიური ძეგლები, 1993, გვ.58
6. იქვე, გვ. 64
7. Н.Сорокина, დასახ.ნაშრ. გვ.257
8. იქვე, გვ.257.
9. ნ.ინაიშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ.78
10. მ.ზამთარაძე, გულაღვის არქეოლოგიური მონაპოვარი, სსმმ, თბ.1979, ტ.XXXIV-B, გვ.64-78
11. პ.ზაქარაია, ვ.ღევექინაძე, გ.გვინჩიძე, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1976-77წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, სსმაე -1978, ტ.6, გვ.78-87
12. მხხარტიშვილი, დას.ნაშრ., გვ.27
13. თ.კერესელიძე, ძვლის ნივთის კატალოგი, თბ.1978, გვ.10
14. Трапш М., Культура цебельдиних некрополей, Тр. т.3, с.119
15. ნ.ინაიშვილი, დას.ნაშრ., გვ.84
16. Кругликова И.Т., К истории Херсонеса Таврическогои Боспора античное общество, М.1967г. с.127
17. Хазанов В., Очерки военного дела сарматов, с.36
18. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, 1957, გვ.168-170.
19. Трапш М., დას.ნაშრ., გვ.138
20. ა.ჭყონია, ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III, გვ.87
21. ლ.წითლანაძე, ქრეოლოგიური აღმოჩენები სოფ.ღიაში, ძეგლის მეგობარი, 1973წ, №3, გვ.66-72
22. ნ.აფხაზავა, ადრეშუასაუკუნეების აღმ.საქართველოს ნივთიერი კულტურა, გვ.85
23. Амброз А., Фибулы Юго Европейской части СССР-САИ, 1906, с.30
24. მ.ზამთარაძე, დას.ნაშრ., გვ.229
25. Куфтин Б., Колхида... , т.П, с.70
26. Кигурадзе Н., Дапнарский могильник, 1976, с.54

სამარხი №1. აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში ჩრდილოეთ კედლიდან 2,10 მ. და აღმოსავლეთის კედლიდან 3,0 მ. დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 1,5 მ. სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი საკმაოდ კარგად იყო შემორჩენილი. იგი დაკრძალული იყო ზურგზე, პირდაპირ მიწაზე (ორმოსამარხი) გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. სახე აღმოსავლეთს უყურებს. სამარხის გაწმენდის შემდეგ მიცვალებულს მარჯვენა ხელზე აღმოაჩნდა სპილენძის ბეჭედი. სხვა ინვენტარი არ გამოვლენილა. ჩონჩხის სიგრძეა—1,15 სმ. სავარაუდოდ სამარხი ადრექრისტიანული დროით—IV-VI საუკუნეებით უნდა დავათარიღოთ.

სამარხი №2. აღმოჩნდა თხრილის მომატებულ ნაწილში დასავლეთ ზღუდესთან, სამხრეთის კედლიდან 5 მ. დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 1 მ. სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალულია პირდაპირ მიწაზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. შემორჩენილია ჩონჩხის ნაწილი – ნეკნების ნაწილი და ქვედა კიდურები. უინვენტარო. შემორჩენილი სიგრძე—1,15 სმ. სამარხი სავარაუდოდ – IV-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სამარხი №3. აღმოჩნდა თხრილის ახალ მონაკვეთზე დასავლეთ კედლის 0,5 მ. და სამხრეთის კედლიდან 4,0 მ. დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 1 მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალულია მიწაზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ჩონჩხი კარგადაა შემონახული; სამარხის სიგრძეა 1,71 მ. ინვენტარის გარეშე. სავარაუდოდ განეკუთვნება წინა საანგარიშო პერიოდში იმავე თხრილში გამოვლენილ სამარხეულ კომპლექსს, რომელიც IV-VI საუკუნეებით თარიღდება.

სამარხი №4. აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში, აღმოსავლეთის კედლის დასავლეთით 0,4 მ. და ჩრდილოეთის კედლიდან სამხრეთით 3,30 მ. დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,5 მ. სიღრმეზე. ჩონჩხი საკმაოდ დაზიანებულია. ჩემორჩენილი ნაწილებით ირკვევა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. უინვენტარო. სავარაუდოდ თარიღია – IV-VI სს.

სამარხი №5. აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში თხრილის სამხრეთის ზღუდიდან 1,15 მ. და აღმოსავლეთის კედლიდან დასავლეთით 1,05 მ დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,30 მ. სიღრმეზე. ჩონჩხი საკმაოდ დაზიანებულია. შემორჩენილია ქვედა ერთი კიდური და რამოდენიმე ნეკნი. როგორც ჩანს, მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთით. შემორჩენილი სიგრძე – 1,17 მ. სავარაუდოდ თარიღდება IV-VI სს-ით.

სამარხი №6. №5 სამარხის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები – ცალი ხელი, ცალი ფეხი და მენჯის ნაწილი. შესაძლებელია ძვლების ეს გროვა №5 სამარხში დასვენებული მიცვალებულის იყოს. თუმცა არაა გამორიცხული სხვა დაზიანებულ სამარხს განეკუთვნებოდეს. დამხრობის აღდგენა შემორჩენილი ძვლებით შეუძლებელია.

სამარხი №7. გამოვლინდა აღმოსავლეთის კედლიდან 0,65 მ. და თხრილის სამხრეთის ზღუდიდან 2,10 მ. დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 1,30 მ. სიღრმეზე. შემონახულია მხოლოდ ფრაგმენტულად – ტერფები, წვივები და მარცხენა ბარძაყის ძვლის ნახევარი. სავარაუდოდ მიცვალებული დაკრძალული იყო თავით დასავლეთით. უინვენტარო. შემორჩენილი ზომაა – 0,67 მ.

სამარხი №8. აღმოჩნდა თხრილის დასავლეთის კიდიდან 1,20 მ. და სამხრეთის კიდიდან 2,55 მ. დაშორებით. სიღრმე – მიწის ზედაპირიდან 1,40 მეტრზე. შემორჩენილია ჩონჩხის ნაწილები – თავის ქალა, მკერდის ნაწილები და მარჯვენა ხელი. მიცვალებული დაკრძალულია თავით დასავლეთით. უინვენტარო. შემორჩენილი ზომა – 0,45 მ.

სამარხი №9. გამოვლინდა თხრილის დასავლეთის კიდიდან 1 მეტრის და სამხრეთის კიდიდან 2 მეტრის დაშორებით. სიღრმე – 1,60 მ. შემორჩენილია მხოლოდ ქვედა კიდურების ნაშთები (ტერფები და წვივები). დამხრობის გარკვევა შეუძლებელია. უინვენტარო. შემორჩენილი ზომა – 0,90 მ.

გარდა ამ სამარხებისა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 1,5 კვ. მ. ფართობზე, მიწის ზედაპირიდან 1,80 მ. სიღრმეზე გამოვლინდა რამოდენიმე (მინიმუმ ოთხი) სამარხი. მათი გაწმენდა საანგარიშო წელს ვერ მოხერხდა. ყველა აღმოჩენილი სამარხი ადრეშუასაუკუნეებით – IV–VI სს. თარიღდება. იგივე შეიძლება ითქვას მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვარზე. მომდევნო სეზონში მოსალოდნელია უფრო ადრეული პერიოდის მასალის გამოვლენა, რის თქმის საფუძველს გვაძლევს წინა წლების გათხრების შედეგები.